



თემა:

ცნობიერების ამაღლება საფინანსო/საბანკო ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხებზე.

კონტექსტი:

თანამედროვე ტექნოლოგიები და საბანკო პორდუქტები ძალიან ამარტივებს და მოსახერხებელს ხდის ფინანსების მართვას - ინტერნეტ და მობაილბანკი, საგადახდო/ პლასტიკური ბარათები და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქსესუარები. (მაგ: სტიკერი, სამაჭური და ა.შ) საბარათე ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა სახლიდან გაუსვლელად გადარიცხოთ თანხა, გადაიხადოთ კომუნალური გადასახადები, შეიძინოთ ნივთი ინტერნეტით და გადაიხადოთ ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე სავაჭრო ობიექტში. თუმცა, მნიშვნელოვანია ადამიანებმა იცოდნენ, როგორ გამოიყენონ ეს მოსახერხებელი პროდუქტები უსაფრთხოდ, რათა თაღლითების მსხვერპლი არ გახდნენ.

ბოლო წლებში საგრძნობლად გააქტიურდა ფინანსური თაღლითობის ფაქტები. პანდემიის პირობებში, როცა ხალხი ონლაინ გაყიდვებზე გადაერთო, განსაკუთრებით გახშირდა კიბერთაღლითობა. მრავალფეროვანია კიბერთაღლითობის არხებიც: თაღლითები მომხმარებლებს სენსიტიურ ფინანსურ ინფორმაციას მოტყუებით სძალავენ ელექტრონული ფოსტით, სოციალური ქსელით, სატელეფონო ზარით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, სპეციალური მონყობილობების თუ მავნე პროგრამებისა და ვირუსების გამოყენებით.

ფინანსური თაღლითობის ყველაზე გავრცელებულ სახეებია:

- ფიშინგი;
- საგადახდო ბარათებთან დაკავშირებული თაღლითობა;
- პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული თაღლითობა;
- ფინანსური პირამიდა;
- ინვესტიციებთან დაკავშირებული თაღლითობა;
- მავნე აპლიკაციები და პროგრამები ;
- თაღლითობა ყალბი ფულის გამოყენებით;

საფინანსო/საბანკო ინფორმაციის უსაფრთხოება გულისხმობს:

1. ყველა მონაცემის დაცვას, რომელთა საშუალებითაც საკუთარ ფინანსებს განვკარგავთ. (კომპიუტერი, ლეპტოპი, სმარტფონი, ა.შ)
2. მომხმარებელთა სენსიტიური ინფორმაციის დაცვას. (როგორცაა: პირადი ნომერი, ბარათის პინ კოდი; cvv კოდი, ინტერნეტ ბანკის კოდი და ა.შ)

პრობლემა:

ადამიანები ფიქრობენ, რომ საკმარისი ინფორმაცია აქვთ. იციან, როგორ დაიცვან საკუთარი მონაცემები და არ ემუქრებათ თაღლითობის საფრთხე. თუმცა კიბერთაღლითების სამიზნე, ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება გახდეს. პრობლემაა ასევე ის, რომ საკუთარი გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც ვერ გრძნობენ პირად ბრალეულობას და ბანკს/ კომპანიას სთხოვენ მომხდარზე პასუხსმგებლობის აღებას.

მიზანი:

შეიქმნას საინფორმაციო პოსტერი, რომელიც მოქალაქეს მოუწოდებს სიფრთხილისკენ საკუთარი პერსონალური და საბანკო/საფინანსო ინფორმაციის გაცემისას.

მთავარი გზავნილი:

- დაფიქრდი და კარგად გადაამოწმე, სანამ რამეს „დააკლიკებ“/გახსნი/ჩამოტვირთავ, ხელს მოაწერ ან/და პერსონალურ/ფინანსურ ინფორმაციას შეავსებ და გააგზავნი სადმე.
- თაღლითობის მსხვერპლი შენც შეიძლება გახდე [თუ არ გეცოდინება, როგორ დაიცვა თავი].

ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი გზავნილები გამოიყენება სხვადასხვა კამპანიებში, თუმცა კონკურსში მონაწილეებს **არ აქვთ** ერთი-ერთში გამოყენების უფლება.

- Stop, think, connect
- Yes, you are a Target
- Remember, you are at the center of secURity.

გზავნილის ტონი: მოწოდებითი, ინფორმაციული

სამიზნე აუდიტორია: საქართველოს ყველა მოქალაქე, განსაკუთრებით 18-45 წლის მოსახლეობა, რომელიც ონლაინ გადახდებს აქტიურად იყენებს

ფორმატი: A3

ლოგოები: საქართველოს ეროვნული ბანკი

განთავსება: გამარჯვებული პოსტერი განთავსდება თბილისის ქუჩებსა და პარტნიორ მედია არხებში

ვადა: 30 აპრილს, 23:59

ნამუშევრები უნდა გამოგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე acag.ge@gmail.com